საიდ. №78237/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №190-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ლაბორატორიოს ლიომონტ ეს ეი დე სი ვი” (Laboratorios liomont S.A. de C.V.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №190-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1184/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „Facidex ფასიდექსი Фасидекс” (საიდ. №78237/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის №1184/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „Facidex ფასიდექსი Фасидекс” მსგავსია კომპანიის „Johnson

& Johnson" სახელზე საქპატენტში მე-5 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისთვის რეგისტრირებული ნიშნისა „CIDEX" (რეგისტრაციის N11196, რეგისტრაციის თარიღი 02/12/1998). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ ნიშანს და მათ შორის ორი ასოს კომბინაცია „Fa“ არ ანიჭებს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის „ლაბორატორიოს ლიომონტ ეს ეი დე სი ვი" წარმომადგენლები თამარ ხარაზიშვილი და ლევან ნიკოლაძე არ ეთანხმებიან გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ვიზუალურად და ფონეტიკურად. გარდა ამისა, განსხვავებულია საქონლის ის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც მოითხოვება ნიშნების რეგისტრაცია. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ვიზუალურად და ფონეტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან- განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური და ქართული ანბანით, ასევე კირილიცაზე, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოდგენილია მხოლოდ ლათინური ანბანით. განცხადებული სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული ვერსია შეიცავს 7 ასოს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს მხოლოდ 5 ასოს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი თავსართის სახით დამატებით შეიცავს ორი ასოს კომბინაციას “Fa”, რომლის არსებობა

მნიშვნელოვნად განასხვავებს მას დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისგან, რადგან ანიჭებს განცხადებულ სასაქონლო ნიშანს სრულიად სხვა ჟღერადობას, კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ფასიდექსი", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც - „სიდექსი". ნიშნები ერთმანეთისგან ასევე, განსხვავდება ვიზუალურად. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში დამატებით ორი ასოს კომბინაციის „Fa"-ს არსებობის გარდა, განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოდგენილია პატარა ლათინური ასოებით (პირველი ასოს გარდა), ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოდგენილია დიდი ლათინური ასოებით. გარდა იმისა, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ვიზუალურად და ფონეტიკურად, განსხვავებულია აგრეთვე იმ საქონლის ჩამონათვალიც, რომელთა მიმართაც მოითხოვება ნიშნების რეგისტრაცია. კერძოდ, აპელანტი განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს მე-5 კლასის კონკრეტული საქონლის - ფარმაცევტული პრეპარატების მიმართ, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის კონკრეტული საქონლის - სადეზინფექციო საშუალებების მიმართ. მართალია, ფარმაცევტული პრეპარატები და მადეზინფიცირებელი საშუალებები შედის მე-5 კლასში, მაგრამ აღნიშნული საქონელი საკმარისად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რაც მინიმუმამდე ამცირებს მომხმარებლის შეცდომაშაში შეყვანის შესაძლებლობას. აპელანტის პოზიციით, იმ გარემოებას, რომ საქონლის ზემოაღნიშნული ჩამონათვალი საკმარისად განსხვავებულად უნდა ჩაითვალოს, ამყარებს თავად საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მაგალითად: N50-03/11 გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა სასაქონლო ნიშანს „DIAREX", პალატამ დადგინა, რომ მე-5 კლასში შემავალი საქონელი „ფარმაცევტული პრეპარატები და სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები" განსხვავებული იყო ამავე კლასში შემავალი შემდეგი საქონლისგან: „ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები და ნივთიერებები,

სპერმატოზოიდების დამშლელი გელები, სითხეები და კრემები". N47-03/11 გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა სასაქონლო ნიშან „OVESTIN"-ს, პალატამ დაადგინა, რომ რომ მე-5 კლასში შემავალი საქონელი „ფარმაცევტული პრეპარატები, კერძოდ, ესტროგენები მენოპაუზასთან დაკავშირებული ესტროგენის დეფიციტის სიმპტომების სამკურნალოდ" განსხვავებული იყო ამავე კლასში შემავალი შემდეგი საქონლისგან: "თერაპიული მიზნით ადამიანებისათვის განკუთვნილი ანტისხეულები". ამგვარად, განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავება, ასევე განსხვავებულია იმ საქონლის ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც მოითხოვება ნიშნების რეგისტრაცია. გარდა ამისა, გამორიცხულია, რომ მომხმარებელს ერთმანეთში აერიოს აღნიშნული ნიშნები შემდეგი გარემოების გამო: განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-5 კლასში ფარმაცევტული პრეპარატების მიმართ. ფარმაცევტული პრეპარატების დანიშვნა, როგორც წესი, ხდება ექიმის მიერ და მომხმარებელმა კარგად იცის, თუ რომელი პრეპარატი ესაჭიროება და მისი შეძენისას იჩენს განსაკუთრებულ სიფრთხილეს. მომხმარებლისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ფარმაცევტული პრეპარატების დასახელებები, რიგ შემთხვევებში, ძალიან ჰგავს ერთმანეთს და სრულიად სხვადასხვა დანიშნულების მქონე პრეპარატების დასახელებებს შორის სხვაობა შესაძლოა იყოს ერთი ბგერა ან თუნდაც ერთი ასო. აპელანტის მითითებით, ზოგადი მიდგომის თანახმად, ფარმაცევტული პრეპარატების დასახელებების რეგისტრაციის დროს მოქმედებს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც არ არის აუცილებელი, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან დაპირისპირებული ნიშნები. მცირედი სხვაობის არსებობაც კი ქმნის განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველს. აღნიშნულ მიდგომას იყენებს თავად საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატა თავის არაერთ გადაწყვეტილებაში, რომლებიც ეხება ფარმაცევტული პრეპარატების დასახელებების რეგისტრაციას, მაგალითად: გადაწყვეტილება N97-03/11, სადაც პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები

„АДЕНУРИК” და „ატენორიკი ATEHOPИК ATENORIC” არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი,- გადაწყვეტილება N81-03/11 - პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები „როსუკორი ROSUCOR” და „ROSUCARD”არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი, ასევე გადაწყვეტილება N84-03/11 პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები „ოქსივინი OXYVIN ОКСИВИН” და “ნაზივინი” არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი. გადაწყვეტილება N47-03/11, სადაც პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები “OVESTIN” და “AVASTIN” არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი; გადაწყვეტილებაში N50-03/11 პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები „DIAREX” და „DUREX” არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი. აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან კარგად ჩანს, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის სულ მცირედი ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავებაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პალატას არ დაედგინა ნიშნების აღრევამდე მსგავსება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1184/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „Facidex ფასიდექსი Фасидекс” (საიდ. №78237/03) დარეგისტრირებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი არის სამენოვანი და შესრულებულია ლათინურად, ქართულად და კირილიცაზე „Facidex ფასიდექსი Фасидекс“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი - მხოლოდ ლათინური შრიფტით არის შესრულებული „CIDEX“. განსხვავებულია ნიშნების საწყისი ნაწილი „FA” – „CI”. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მომხმარებელი ნიშნის აღქმისას, უკეთესად აღიქვამს და იმახსოვრებს ნიშნის საწყის ნაწილს. გარდა ამისა, განცხადებული ნიშანი შედგება სამი მარცვლისგან, ხოლო დაპირისპირებული ორი მარცვლისგან, რაც ნიშნებს ანიჭებს სრულიად განსხვავებულ ჟღერადობას. განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ფასიდექსი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც - „სიდექსი”.

განსხვავებულია აგრეთვე, მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართ მოითხოვება ნიშნების რეგისტრაცია. კერძოდ, აპელანტი განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სადეზინფექციო საშუალებები“. მიუხედავად იმისა, რომ ფარმაცევტული პრეპარატები და მადეზინფიცირებელი საშუალებები შედის მე-5 კლასში, აღნიშნული საქონელი განსხვავებულია თავისი ბუნებით და დანიშნულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „Facidex ფასიდექსი Фасидекс” (საიდ. №78237/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ლაბორატორიოს ლიომონტ ეს ეი დე სი ვი” (Laboratorios liomont S.A. de C.V.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის №1184/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „Facidex ფასიდექსი Фасидекс” (საიდ. №78237/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

მ. ჭიჭინაძე